



სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია შოთა მესხიას

ზუგდიდის სახელმწიფო

სასწავლო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს # ----- დადგენილებით

„-----“ „-----“ 2019 წელი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

შედულება

041274

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ზუგდიდი, ჯანაშიას #14

ტელეფონი: 0 415 25 62 17

ვებ გვერდი : zssu. ge

ელ.ფოსტა: zssu@edu.ge

პროგრამის ხელმძღვანელი: გოდერძი წიწავა

ზუგდიდი

2019 წელი

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (შემდგომში - პროფესიული პროგრამა) სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე - შედუღება / Welding
2. სარეგისტრაციო ნომერი ჩარჩო დოკუმენტისა, რომლის საფუძველზეც შექმნილია საგანმანათლებლო პროგრამა: - 07310-3
3. მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენაზე

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში / Basic Vocational Qualification in Welding

აღნიშნული კვალიფიკაციები განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - მექანიკა და ლითონის საქმე - კოდი 0715. აღმწერი - „შეისწავლის მანქანების, მექანიკური საწარმოებისა და სისტემების, ასევე ლითონის პროდუქციის დაგეგმვას, პროექტირებას, განვითარებას, წარმოებას, ფუნქციონირებასა და მონიტორინგს. ის მოიცავს პროდუქციის წარმოებისა და მომსახურებისთვის განკუთვნილი მანქანა - დანადგარების პროექტირებასა და ფუნქციონირებას. ეს დეტალური სფერო ფოკუსირებულია მანქანებზე/მოწყობილობებზე, მექანიკურ სისტემებსა და ლითონის პროდუქციაზე“.

4. მიზანი

პროფესიული პროგრამის მიზანია შემუშავდეს და დაინერგოს ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კარდის მომზადებას.

5. დაშვების წინაპირობები

- საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია - საბაზო განათლება;
- „სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV -100/ა“, ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა.

6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

- შედუღების საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ისეთ პროფესიებზე როგორცაა - შემდუღებლები და აირმჭრელები, რომლებიც ადუღებენ და ჭრიან ლითონის ნაწილებს აირის სანთურის, ელექტრორკალური ან სხვა გამაცხელებელი საშუალებების გამოყენებით, შესაბამისად დასაქმების შესაძლებლობებია შესაბამის ორგანიზაციებსა და სფეროში.
 - ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 25.
 - დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 7212

7. სტრუქტურა და მოდულები

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში მოიცავს 2 ზოგად მოდულს ჯამური 6 კრედიტის რაოდენობით. 9 პროფესიულ მოდულს ჯამური 32 კრედიტის რაოდენობით, 1 არჩევით მოდულს

7 კრედიტის მოცულობით, შედუღებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს 45 კრედიტი.

მოდულის, „ქართული ენა A2“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით.

აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. შესაბამისად, ასეთი პირებისათვის კრედიტთა ჯამური რაოდენობაა 60 კრედიტი.

ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტები
1	მეწარმეობა 1	2
2	უცხოური (ინგლისური) ენა	4
სულ		6
საერთო პროფესიული/დარგობრივი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტები
3	ჯანმრთელობის დაცვა და შრომის უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე	4
4	შედულების მასალები და მათი მახასიათებლები	4
5	დარგობრივი კომუნიკაცია	4
6	ლითონის თერმული დამუშავება	4
7	შესადუღებელი მასალების ტექნიკური მონაცემების გამოყენება-დოკუმენტირება	4
8	შედულების პროცესის მასალების მომზადება	4
9	ლითონების შედუღება ინერტული (MIG) და აქტიური (MAG) აირის გარემოში	4
10	შედუღება ვოლფრამის (TIG) ელექტროდით ინერტულ აირში	2
11	მშრალი შედუღება	2
სულ		32
12	ხის კარ-ფანჯრებისა და კიბის დამზადება	7
ჯამში		45

8. პროგრამის ხანგრძლივობა:

- ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის 45 კრედიტი (30 კვირა-7,5 თვე)
- არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის 60 კრედიტი (42 კვირა-10,5 თვე)

9. მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამისი სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შეადულოს ლითონის ნაწილები აირის სანთურით, ელექტრორკალით, თერმული ნაერთებით ან სხვა მეთოდებით
2. გამოიყენოს სარჩილავი ტყვიის შემცველი ნაკეთობების (მილების, ზედაპირების და სხვა) შესაკეთებლად
3. შეაერთოს ლითონის ნაწილები მყარი კომპონენტით
4. დაჭრას ლითონი აირის სანთურის ან ელექტრორკალის გამოყენებით
5. შეაერთოს ლითონის ნაწილები ხელის სარჩილავით, რბილი კომპონენტით
6. შეარჩიოს თერმული მომზადების, მორგების, შედუღების პროცესის რეჟიმი მასალის არასასურველი დეფორმაციის, გადახურების, გადაგრეხვის, შეკუმშვის, გაფართოების აცილების მიზნით
7. დაადგინოს დეფექტები და წუნები
8. შეამოწმოს შესრულებული სამუშაოების სიზუსტე სპეციფიკაციით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობაზე.

10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ზოგად, სპეციალიზაციის პროფესიულ/დარგობრივ და არჩევით მოდულებს. პროფესიული პროგრამა ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის ბაზაზე

11.სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

პროფესიული პროგრამის მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო*

ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ქესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაზუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

12. კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

13. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-12 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

14. პროგრამის შემუშავების შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2017 წლის 13 ოქტომბრის N 656 ბრძანებით დამტკიცებული ჩარჩო დოკუმენტი „შედულება“, რომელშიც ცვლილებები შესულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 5 ივნისის № 458 და 2019 წლის 31 იანვრის № 80/ი ბრძანებებით.

15. დანართები (1;2;3;4)

- დანართი №1 –სასწავლო გეგმა
- დანართი № 2- პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი
- დანართი № 3 - სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსის ჩამონათვალი;
- დანართი № 4-მოდულები

დანართი № 4.1. - მეწარმეობა 1

დანართი № 4.2. - უცხოური (ინგლისური) ენა

დანართი № 4.3.- ჯანმრთელობის დაცვა და შრომის უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

დანართი № 4.4. - შედულების მასალები და მათი მახასიათებლები

დანართი № 4.5.- დარგობრივი კომუნიკაცია

დანართი № 4.6.- ლითონის თერმული დამუშავება

დანართი №4.7.- შესადულებელი მასალების ტექნიკური მონაცემების გამოყენება-დოკუმენტირება

დანართი № 4.8. - შედულების პროცესის მასალების მომზადება

დანართი № 4.9. - ლითონების შედულება ინერტული (MIG) და აქტიური (MAG) აირის გარემოში

დანართი № 4.10. - შედულება ვოლფრამის (TIG) ელექტროდით ინერტულ აირში

დანართი № 4.11. მშრალი შედულება

დანართი № 4.12. -ხის კარ-ფანჯრებისა და კიბის დამზადება

დანართი № 4.13.-ქართული ენა A 2

- დანართი #5-მემორანდუმები/ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და პრაქტიკის ობიექტებთან